

# შპს ჯეოლაინ XXI-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის

## სარჩევი

|                                                      |   |
|------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიში .....                | 2 |
| სრული შემოსავლების ანგარიში .....                    | 3 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში .....            | 4 |
| კაპიტალის ცვლილებების ანგარიში .....                 | 5 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ..... | 6 |

შპს ჯეოლაინ XXI


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

| ფინანსური მდგომარეობა                                       | შენიშვნა | 31/12/2024       | 31/12/2023       | 31/12/2022     |
|-------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|----------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 3        | 101,860          | 1,481,199        | 11,945         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 4        | 1,557,961        | 570,000          | 683,557        |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 5        | 619,450          | 150              | 0              |
| მარაგები                                                    | 6        | 0                | 13,388           | 24,550         |
| სხვა                                                        |          | 0                | 0                | 1,360          |
| <b>სულ აქტივები</b>                                         |          | <b>2,279,271</b> | <b>2,064,737</b> | <b>721,412</b> |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 8        | 1,940            | 287              | 2,092          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  |          | 41,165           | 15,259           | 17,803         |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                             | 9        | 450,050          | 1,000,000        | 0              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                    |          | <b>996,406</b>   | <b>813,435</b>   | <b>602,363</b> |
| სააქციო კაპიტალი                                            |          | 238,500          | 238,500          | 204,150        |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                   |          | 1,547,616        | 810,691          | 497,367        |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                       | 10       | 1,786,116        | 1,049,191        | 701,517        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>               |          | <b>2,279,271</b> | <b>2,064,737</b> | <b>721,412</b> |

ხელმოწერილი პირები :


დირექტორი

გიორგი ჯაჭვამე



მთავარი ბუღალტერი

თამარ ცინცაძე



შპს ჯეოლაინ XXI


მოგება-ზარალისა და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

| საქმიანობის შედეგები                                | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|-----------------------------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები                                      | 2141159    | 4,740,597  |
| საქონლის გაყიდვიდან                                 | 8,805,178  | 4,732,521  |
| სხვა                                                | 0          | 8,076      |
| გაყიდვების თვითღირებულება                           | -7,891,644 | -4,322,064 |
| საერთო მოგება                                       | 913,534    | 418,533    |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                            | -104,095   | -54,976    |
| საპროცენტო ხარჯი                                    | -8,726     |            |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი            | -23,359    | -50,233    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                              | -136,180   | -105,209   |
| საოპერაციო მოგება                                   | 777,354    | 313,324    |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა            | 57,954     |            |
| წმინდა შემოსულობა                                   | -108,579   |            |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)             | 12,944     |            |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე      | 739,673    | 313,324    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                           | -2,748     |            |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი              | 736,925    | 313,324    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 1,049,191  | 701,517    |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში               | 0          | 34,350     |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს      | 1,786,116  | 1,049,191  |

ხელმოწერი პირები :

დირექტორი

გიორგი ჯაჭვამე



მთავარი ბუღალტერი

თამარ ცინცაძე




შპს ჯეოლაინ XXI

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                               | 31/12/2024  | 31/12/2023 |
|-------------------------------------------------------------------------|-------------|------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები             | 13,169,723  | 8,545,904  |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები              | -14,549,062 | -7,076,650 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                      | -1,379,339  | 1,469,254  |
|                                                                         |             |            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 1,481,199   | 11,945     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს      | 101,860     | 1,481,199  |

ხელმოწერი პირები :

დირექტორი



გიორგი ჯაჭვაძე

მთავარი ბუღალტერი

თამარ ცინცაძე



შპს ჯეოლაინ XXI  
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ლარში)

|                                | ნაშთი<br>11.12.2023 | ნაშთი<br>31.12.2024 |
|--------------------------------|---------------------|---------------------|
| საწესდებო კაპიტალი             | 204 150             | 238 500             |
| გაუნაწილებელი მოგება           | 497 366             | 810 692             |
| მიმდინარე წლის მოგება (ზარალი) | 313 325             | 736 925             |
| გაცემული დივიდენდი             |                     |                     |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები      | 34 350              |                     |
| <b>სულ კაპიტალი</b>            | <b>1 049 192</b>    | <b>1,786,116</b>    |

ხელმოწერი პირები :

დირექტორი

გიორგი ჯაჭვაძე

მთავარი ბუღალტერი

თამარ ცინცაძე



## ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანიის საფირმო სახელწოდება: შპს ჯეოლაინ XXI  
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 426537759

რეგისტრაციის თარიღი: 27 თებერვალი 2019

მარეგისტრირებული ორგანო: საჯარო რეესტრი  
იურიდიული მისამართი: საქართველო, საქართველო, გარდაბანის რაიონი, ს. გამარჯვება,  
მე-3 ქ. N 97 ა  
მმართველობის ორგანო: საერთო კრება, დირექტორი  
ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა: 12001000565, გიორგი ჯაჭვამე ერთპიროვნული

პარტნიორები: 12001000565, გიორგი ჯაჭვამე 100% წილის მფლობელი

საქმიანობის სფერო: საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი,  
თესლებით და ცხოველების საკვებითა

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ; საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება და მოვალეობა  
რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

#### მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო  
სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების  
საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.  
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს  
ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

#### მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ: კომპანიის ბუღალტერია აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

### **წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა**

კომპანიის ფუნქციონირებად საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები ჩაიწერება ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების გადაყვანა ანგარიშის პერიოდისთვის ხდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოსთვის არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                      | 31 დეკემბერი 2024 | 1 იანვარი 2024 |
|----------------------|-------------------|----------------|
| 1 რუსული რუბლი/ ლარი | 0.025405          | 0.029916       |

### **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა:**

#### **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

#### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



## მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შემენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამ ეტაპზე ძირითადი საშუალება კომპანიას არ აქვს.

### ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

### გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;



## სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## იჯარა

ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ხდება განსაზღვრა, მოიცავს თუ არა ეს უკანასკნელი იჯარას. ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზეა დაფუძნებული, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული, ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

ამ ეტაპზე კომპანია არ არის არც მოიჯარე და არც მეიჯარე.

## სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად. სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

## საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (გადახდილი საკომისიოების ჩათვლით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) ან მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## შემოსავლის აღიარება

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც მოხდა პროდუქციის მიწოდება, ვინაიდან კონტროლის გადაცემა ტრანზაქციისთანავე ხდება. შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს, მიწოდებული საქონლისთვის ფასდათმობის, საქონლის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

## დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მომავალში ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე. იმ შემთხვევაში როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, მაგრამ თუ არსებობს რაიმე ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების ან ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც თანახა წინასწარ იქნა გადახდილი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარი გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.



მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### **დივიდენდები**

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით მენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

### 3. ფული და ფულადი სახსრები

ფული და ფულადი სახსრების საბალანსო ღირებულების ცვლილება:

| დასახელება                  | ნაშთი<br>01.01.2024 | სად. ბრ.   | საკ. ბრ    | ნაშთი<br>31.12.2024 |
|-----------------------------|---------------------|------------|------------|---------------------|
| ფული და ფულადი სახსრები     | 1 481 199           | 13 169 723 | 14 549 062 | 101 860             |
| სულ ფული და ფულადი სახსრები | 1 481 199           |            |            | 101 860             |



#### 4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| დასახელება                     | ნაშთი<br>01.01.2024 | სად. ბრ.   | საკ. ბრ    | ნაშთი<br>31.12.2024 |
|--------------------------------|---------------------|------------|------------|---------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 555 729             | 19 564 694 | 17 943 012 | 2 177 411           |
| სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 555 729             |            |            | 2 177 411           |

#### 5. ავანსები

##### 5.1 გაცემული ავანსები

| დასახელება                                | ნაშთი<br>01.01.2024 | სად. ბრ. | საკ. ბრ | ნაშთი<br>31.12.2024 |
|-------------------------------------------|---------------------|----------|---------|---------------------|
| გაცემული ავანსები და გაცემული სესხები     | 0                   | 619 450  | 0       | 619 450             |
| სულ გაცემული ავანსები და გაცემული სესხები | 0                   |          |         | 619 450             |

##### 5.2 მიღებული ავანსები

| დასახელება                                | ნაშთი<br>01.01.2024 | სად.<br>ბრ. | საკ. ბრ | ნაშთი<br>31.12.2024 |
|-------------------------------------------|---------------------|-------------|---------|---------------------|
| მიღებული ავანსები                         | 0                   | 0           | 0       | 0                   |
| სულ მიღებული ავანსები და გაცემული სესხები | 0                   |             |         | 0                   |

#### 6. სასაქონლო და მატერიალური მარაგები

| დასახელება                            | ნაშთი<br>01.01.2024 | სად. ბრ.  | საკ. ბრ   | ნაშთი<br>31.12.2024 |
|---------------------------------------|---------------------|-----------|-----------|---------------------|
| სასაქონლო და მატერიალური მარაგები     | 13 388              | 7 878 256 | 7 891 644 | 0                   |
| სულ სასაქონლო და მატერიალური მარაგები | 13 388              |           |           | 0                   |

#### 7. ძირითადი საშუალებები

| დასახელება                            | ნაშთი<br>01.01.2024 | სად.<br>ბრ. | საკ. ბრ | ნაშთი<br>31.12.2024 |
|---------------------------------------|---------------------|-------------|---------|---------------------|
| ძირითადი საშუალებები                  | 0                   |             |         | 0                   |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა           | 0                   |             |         | 0                   |
| სულ სასაქონლო და მატერიალური მარაგები | 0                   |             |         | 0                   |

#### 8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| დასახელება                      | ნაშთი<br>01.01.2024 | სად. ბრ.  | საკ. ბრ   | ნაშთი<br>31.12.2024 |
|---------------------------------|---------------------|-----------|-----------|---------------------|
| სავაჭრო და სხვა დავალიანება     | 287                 | 8 804 141 | 8 805 794 | 1940                |
| სულ სავაჭრო და სხვა დავალიანება | 287                 |           |           | 1940                |

## 9. აღებული სესხები

| დასახელება          | ნაშთი<br>01.01.2024 | სად. ბრ.  | საკ. ბრ | ნაშთი<br>31.12.2024 |
|---------------------|---------------------|-----------|---------|---------------------|
| აღებული სესხები     | 1 000 000           | 1 200 000 | 650 050 | 450 050             |
| სულ აღებული სესხები | 1 000 000           |           |         | 450 050             |

## 10. კაპიტალი

| დასახელება             | ნაშთი<br>01.01.2024 | სად.<br>ბრ. | საკ. ბრ | ნაშთი 31.12.2023 |
|------------------------|---------------------|-------------|---------|------------------|
| გაუნაწილებელი მოგება   | 810 691             |             | 736 925 | 1 547 616        |
| სულ საწესდებო კაპიტალი | 810 691             |             |         | 1 547 616        |

## ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს;

ხელმომწერი პირები :

დირექტორი

გიორგი ჯაჭვამე



მთავარი ბუღალტერი

თამარ ცინცამე

